შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.689)

4-11 ივლისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წელსაც ვებრძვით კალიებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები კახეთის რეგიონში განსაკუთრებით საშიში მავნებლის - ე.წ იტალიური კალიის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბურ ღონისძიებებს ახორციელებენ.

წამლობის სამუშაოების მიმდინარეობას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზაზა დოლიძე და კახეთის რეგიონის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრნენ.

კალიის წინააღმდეგ წამლობას სპეციალისტები როგორც სამანქანო დანადგარებით, ასევე ავიაციის მეშვეობოთ ახორციელებენ. ამ დროისთვის დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ახმეტის, გურჯაანის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში 14 500 ჰექტარია წამლით დამუშავებული (მათ შორის 1500 ჰექტარი ავიაციის გამოყენებით). გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე მავნებლის აქტივობა პიკს აღწევს, ღონისძიებები მაქსიმალური ინტენსიობით მიმდინარეობს. იტალიური კალიის წინააღმდეგ ქიმიური წამლობა კახეთში 26 მაისიდან დაიწყო.

წამლობის ღონისძიებები 2015 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. სააგენტო საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნებლების წინააღმდეგ წამლობას ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენებით ყოველწლიურად ახორციელებს.

ქართული ცხვარი კონკურენციას მაღალი ფასით აგებს

„საქართველოში წელიწადში 300 ათას ტონამდე მატყლი ი პარსება, აქედან დიდი ნაწილი ადგილზევე ნადგურდება“

“მატყლის გაყიდვა-ექსპორტი ბოლო წლებში კატასტროფულად შემცირდა. ნაქებ ქართულ ცხვარს რთული პერიოდი დაუდგა. დღეს ქართული ცხვრის ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარი ისევ მეზობელი აზერბაიჯანია. თუმცა ბოლო წლებში ექსპორტმა აქაც დაიკლო”, - ამბობს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი. მისი თქმით, ამ დარგის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი მაღალი გადასახადებია. ამას ემატება საქართველოში შემოყვანილი სომხური ცხვარი, რომელიც ექსპორტზე ქართული ცხვრის სახელით გაჰყავთ.

“ეს რომ სახელმწიფოს გვერდის ავლით არ ხდება, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. ამ საკითხს მე და თქვენ ვერ მივხედავთ, ძალოვანი უწყებები უნდა ჩაერიონ. სომხური ცხვრის ხარისხი ბევრად დაბალია, ვიდრე ჩვენი. თუმცა კონკურენციას ვერ ვუწევთ, რადგან იაფი ღირს. მყიდველს კი ხარისხი ნაკლებად აინტერესებს”,“- ამბობს ბექა გონაშვილი.

პრობლემებს უჩივიან მეცხვარეებიც: “საძოვრები ფასიანი გახადეს, ფარაში სულ 500 სული ცხვარი მყავს, მაგრამ შენახვა ძალიან ძვირი ჯდება. ალბათ, გაყიდვა მომიწევს. საძოვრის დაქირავებაც გაძვირდა, 1 ჰექტარი, სულ მცირე, 15 ლარია, ამას დაუმატეთ ცხვრის გამოკვება, ვეტერინარული შემოწმება, მწყემსის ანაზღაურება, რომელიც 600-1.000 ლარამდე მიჯდება. 1 ცხვრის შენახვას საშუალოდ 100-120 ლარი სჭირდება, ამიტომ არ მიღირს. სახელმწიფომაც მოგვიძულა, მგონი, დაავიწყდათ, რომ საქართველოში ცხვარი არსებობს. თუ ასე გაგრძელდება, ბევრი გაყიდის ფარას და მერე ვიყოთ სხვისი ხელების შემყურე”,“ - წუხს მეცხვარე გიორგი.

მეცხვარეების თქმით, ფერმაში ცხვრის ფასი 150-180 ლარს შორის მერყეობს, ექსპორტის შემთხვევაში კი ეს თანხა 30-40 ლარით იზრდება. “ცხვარს წონის მიხედვით არ ყიდიან, თვალით აფასებენ. შეიძლება 100-120 ლარადაც იყიდოთ, ცხვარს გააჩნია. ვისაც ექსპორტზე გაჰყავს, ხარჯიც მეტი აქვს და ცხვრის ფასიც ამიტომ იზრდება. საძოვრები გააძვირეს, გადასახადები მაღალია, დოლარის კურსი ზევით მიიწევს და რა გასაკვირია, რომ ცხვრის ფასმაც მოიმატა”, - ამბობს მეცხვარე.

სტატისტიკის თანახმად, ცხვრის ექსპორტი 2009 წელს გაიზარდა. საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალში იყვნენ ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ლიბანი, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები. სპეციალისტების თქმით, ამგვარი დაინტერესება ქართული ცხვრის გამორჩეულმა გემომ, სიიაფემ და ტრანსპორტირების მცირე ხარჯებმა განაპირობა. მეცხვარეების თქმით, დღეს საექსპორტო ცხვრის ფასი 120-დან 140 დოლარამდე მერყეობს.

თუმცა, ქართული ცხვრის გაძვირებას გაყიდვის პრობლემა მოჰყვა. ამჟამად ქართული ცხვარი ექსპორტზე მხოლოდ აზერბაიჯანსა და ირანში გადის. აქედან აზერბაიჯანი ინარჩუნებს ჯერჯერობით ქართული ცხვრის სტაბილური საექსპორტო ბაზრის სტატუსს.

მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, ბოლო ორი წელია, რაც მკვეთრად შემცირდა ცხვრის ექსპორტი ირანში. “ირანს დაახლოებით 50 მილიონი სული

(გაგრძელება გვ.3)

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ველურ ბუნებაში ქურციკი დაიბადა

გვ.2

ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსის“ განვადებით შეძენა ნეგატიური საბანკო ისტორიის მქონე პირებსაც შეეძლებათ

გვ.2

ფრაგმენტები ერთი ქალის ცხოვრებიდან...

გვ.5

ოთხი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი

გვ.2

პრემიერი – საჯარო სამსახურში რევოლუციური რეფორმა გატარდება

„წინა ხელისუფლების დროს, ადამიანთა დაწინაურება ხდებოდა მხოლოდ პოლიტიკური და არა პროფესიული ნიშნით. ხშირ შემთხვევაში ადამიანებს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდნენ. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ და შექმნათ პროფესიული საჯარო სამსახური“,- ამის შესახებ პრემიერ - მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საჯარო სამსახურის რეფორმა „ქართული ოცნების” წინასაარჩევნო დაპირება იყო და ბოლომდე მივა.

„ეს იყო ჩვენი წინასაარჩევნო დანაპირები, რომ შექმნიდით პროფესიულ საჯარო სამსახურს, რომელიც იქნებოდა კარიერაზე და წინსვლაზე დაფუძნებული. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც ჩვენი მთავრობის პირობებში დაიწყო და მივა ბოლომდე. მოგეხსენებათ, ეს იყო სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდა დემოკრატიებისთვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ევროკავშირის და ვიზალიბერალიზაციის პროცესში. ჩვენ მას ვადაზე ადრე დავასრულებთ. კანონპროექტი გაიგზავნება პარლამენტში და მივიღებთ ამ კანონს, რომელიც იქნება უპრეცედენტო, მე ვიტყოდი რევოლუციური, რადგან ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება მთელი სისტემა, ჩამოყალიბდება პროფესიული, ევროპული, თანამედროვე საჯარო სამსახური“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებკ ანონპროექტს მინისტრთა კაბინეტი დღეს განიხილავს და ის პარლამენტს განსახილველად უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ველურ ბუნებაში ქურციკი დაიბადა

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ველურ ბუნებაში ქურციკი დაიბადა. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის მონიტორინგის განმავლობაში პირველად მოხერხდა ქურციკების გამრავლების დამადასტურებელი ფოტოების გადაღება.

თავდაპირველად, მკვლევარებმა შენიშნეს მდედრი ქურციკი, რომელიც ერთ ადგილს არ სცილდებოდა, რითაც დასტურდებოდა პატარა ლიკლიკას არსებობა, მაგრამ მდედრი პატარასთან არ მიდიოდა. მკვლევარებმა დისტანცია გაზარდეს 500 მეტრამდე და შედეგმაც არ დააყოვნა მდედრი პატარას მიუახლოვდა ისიც წამოხტა და დედასთან ერთად გააგრძელა მოძრაობა. სწორედ ეს ფაქტი აღიბეჭდა ფოტოებზე.

დაცული ტერიტორიების სააგენტიოს ცნობით, ქურციკის აღდგენა დღეისათვის საქართველოს გარემოსდამცველების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ივრის ზეგანზე ეკოსისტემების გაჯანსაღება ამ ცხოველის გარეშე შეუძლებელია.

ქურციკი 33 კილოგრამს აღწევს. გავრცელებულია მცირე აზიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში. წარსულში საქართველოს ფარგლებში ქურციკი გვხვდებოდა მცირე რაოდენობით შირაქის ველის აღმოსავლეთ ნაწილში, საკმაოდ ბევრი იყო გარდაბნისა და სამგორის ველებზე, სადაც უწესრიგო ნადირობის შედეგად გაწყდა. 1,5 წლისა უკვე ზრდასრულია. მაკეობა 5-5,5 თვეს გრძელდება. აპრილ-მაისში შობს ერთ ან ორ თიკანს. ძირითადად ბალახეულით იკვებება.

ქართული მთის ძროხის სარძეო პროდუქტიულობის შესწავლა დაიწყო

„ქართული მთის ძროხის“ სარძეო პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებელის დადგენის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აღნიშნული ჯიშის პოპულაციისა და აღდგენის პროექტზე მუშაობს. დეპარტამენტი ექსპედიციური კვლევის პარალელურად, ქართული მთის ძროხის ზოოტექნიკურ შესწავლას ფერმერული მეურნეობის პირობებში ახორციელებს.

ამ მიზნით, თიანეთის რაიონში წინასწარ შერჩეულ ფერმერთან გაფორმდა მემორანდუმი, ჩამოყალიბდა საცდელი ფურების ჯგუფი და დაიგეგმა ჩასატარებელი ღონისძიებები.

„საცდელი ფურების სარძეო პროდუქტიულობის შესწავლის მიზნით, დეპარტამენტის სპეციალისტები იმყოფებოდნენ თიანეთში - არტოს საზაფხულო საძოვრებზე, სადაც ჩატარდა ფურების საკონტროლო წველა, რძის ინდივიდუალურ ნიმუშებს ჩაუტარდა მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზი და განისაზღვრა მათი ქიმიური შემადგენლობები, (ცხიმი, ცილა, ლაქტოზა, მშრალი, მინერალური ნივთიერება და სხვა მაჩვენებლები)“,- განაცხადეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში.

„ქართული მთის ძროხის“ სარძეო პროდუქტიულობის შესწავლა დაახლობიეთ 7-8 თვის განმავლობაში განხორციელდება.

სალაროებში სუპერ თასის ბილეთების გაყიდვა მოხდება ყველა სტანდარტის დაცვით – barcamania.ge

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასა და საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ქართული ფან-კლუბის ვებგვერდ barcamania.ge-ს ადმინისტრაციას შორის შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც ევროპის სუპერ თასის ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეხვედრის დროს ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ სალაროებში ბილეთების გაყიდვა მოხდება ყველა სტანდარტის დაცვით და რაც მთავარია, გამჭვირვალედ. რაც გულისხმობს შემდეგს: ადგილზე იქნება ბიოტუალეტები, პოლიცია, სასწრაფო დახმარების მანქანა, სამედიცინო პუნქტი, რიგს კონტროლს გაუწევენ სტიუარდები, ხოლო ბილეთების გაყიდვის პროცესს ეყოლება დამკვირვებლები. დამკირვებლებსა და რიგში მყოფ პირებს საშუალება ექნებათ დარწმუნდნენ, რომ 22 ათასი ბილეთი სრულად გაიყიდება სალაროებში.

რაც შეეხება ბილეთების გაყიდვის დროს - ფედერაციაში განმარტეს, რომ ისინი გაყიდვას დაიწყებენ მას შემდეგ, რაც გეგმაში გაწერილი ყველა დეტალის გამართულად მუშაობის გარანტია ექნებათ. ცნობილია, რომ გაყიდვა მომდევნო კვირის პირველ დღეებში არ დაიწყება. ფედერაცია გულშემატკივრებს გაყიდვის თარიღს მინიმუმ 2 დღით ადრე ამცნობს. ამის მიზეზი ისაა, რომ რეგიონებში მცხოვრები პირები არ დაიჩაგრონ და მათ ბილეთის საყიდლად თბილისში ჩამოსვლა მოასწრონ.

ე.წ. “სეთ-თოფ-ბოქსის” განვადებით შეძენა ნეგატიური საბანკო ისტორიის მქონე პირებსაც შეეძლებათ

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის საჭირო მოწყობილობის, ე.წ. “სეთ-თოფ-ბოქსის” განვადების შეძენა ნეგატიური საბანკო ისტორიის მქონე პირებსაც შეეძლებათ, - ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ნათია მიქელაძესთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა, ზურაბ გვასალიამ განაცხადა.

მისივე განმარტებით, განვადებით სარგებლობა ასევე შეეძლება ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა.

“ე.წ. “სეთ-თოფ-ბოქს” განვადებით გასცემს ყველა ის ბანკი, რომლის საბანკო პროდუქტშიც შედის განვადების სერვისი და ის განხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით. ასევე ოპერატიულად მოხდება თავად საბანკო ოპერაციის გაფორმება. ასე რომ, მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც მოწყობილობის განვადებით შეძენა სურს, ამის არავითარი პრობლემა არ ექნება — განვადებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა. მეტიც, ეს შეუძლია იმ პირებსაც კი, რომლებიც შესაძლოა კრედიტორთა სიაში ირიცხებოდნენ, ანუ ჰქონდეთ ნეგატიური საბანკო ისტორია, თუკი ვალი ამჟამად არ უფიქსირდებათ”, - აღნიშნა ზურაბ გვასალიამ.

“ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის საჭირო მოწყობილობის - ე.წ. “სეთ-თოფ-ბოქსის” შეძენა განვადებითაც იქნება შესაძლებელი”, - ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ნათია მიქელაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, ე.წ. “სეთ-თოფ-ბოქსის” განვადებით შეძენა შეღავათიანი პირობებით და საქართველოში მოქმედ ყველა იმ ბანკში იქნება შესაძლებელი, რომელთაც განვადების სერვისი აქვთ.

ოთხი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი

დედოფლისწყაროელ კიკბოქსინგელთა წარმატებით დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ჩემპიონატი კიკბოქსინგში „შავი ზღვის თასი“ რომლელიც მიმდინარეობდა 26-27-28 ივნისს ქ. ბათუმში. შეჯიბრის ორგანიზატორი აჭარის კიკბოქსინგის ფედერაცია და საქართველოს ტაიბოქსის და კიკბოქსინგის ფედერაციაა. წლევანდელი ჩემპიონატი მსოფლიოს კიკბოქსინგის ორგანიზაციების პატრონაჟით ჩატარდა (ჟAჯ).

როგორც მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ ათი სპორტსმენიდან 9 ფინალისტია და პირველ-მეორე ადგილზე იბრძოდა. საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი 2015“-ის ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები მოიპოვეს: ლაშა ლეკაშვილმა, ვალერი ვაჭრიძემ, შალვა ხოსიტაშვილმა და ნოდარ ცხოვრებაძემ.

მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს: თორნიკე ლეკაშვილმა, ლევან წიკლაურმა, გიორგი წიკლაურმა, ნოდარ ფიროსმანაშვილმა და ალექსანდრე ცხოვრებაძემ. „შავი ზღვის თასი“ — უფროს ასაკის სპორტსმენებში დედოფლისწყარომ დაისაკუთრა. მედლლების საერთო რაოდენობით სხვადასხვა ასაკში ყაზახეთის მრავალრიცხოვანმა გუნდმა ყველას აჯობა და პირველობა მოიპოვა.

ტრადიციული ტურნირს „შავი ზღვის თასი“ წელს უკვე ყაზახეთი და თურქმენეთიც შეუერთდნენ. მრავალრიცხოვანი გუნდებით წარსდგა აზერბაიჯანი და სომხეთი ასევე საქართველოს რეგიონები. მონაწილეთა საერთო რაოდენობამ 225 სპორტსმენს მიაღწია.

შეჯიბრი მიმდინარეობდა უმცროს და უფროსი ასაკის კატეგორიებში. დაძაბულად წარიმართა შეჯიბრის მსვლელობა, რინგზე ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სხვადასხვა ქვეყინის რჩეული სპორტსმენები, საერთაშორისო კლასის არბიტრებსაც უჭირდათ ხშირად გამარჯვებულის გამოვლენა მცირე ქულათა სხვაობის გამო.

„მინდა მადლობა ვუთხრა ჩემი გუნდის სპორტსმენებს, ბიჭებს შეჯიბრზე გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის ყველა იმ თვისებების წარმოჩენისთვის რინგზე, რის გამოც დარბაზიც და მსაჯთა კოლეგიაც მოხიბლული და აღტაცებული დარჩა. ბათუმის „ყინულის სასახლეში“ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ფინალების ორთაბრძოლებზე დედოფლისწყაროელ ბიჭებს მთელი დარბაზი ამხნევებდა ემოციური შეძახილებით ყაზახ, სომეხ, თუ აზერბაიჯანელ სპორტსმენებთან შერკინებისას. მინდოდა მთელი რაიონი იქ ყოფილიყო“ — აღნიშნა მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

ვალერი ვაჭრიძე: „ამ ბრძოლისთვის დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი. აზერბაიჯანელ სპორტსმენს დავუპირისპირდი და უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე შემხვდა. რთული იყო, თუმცა პირველივე რაუნდში ნოკაუტით დავამთავრე ეს შეხვედრა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მწვრთნელს, თამაზ ყარაგვეზაშვილს, მისი დამსახურებით ამ შედეგის მიღწევა არ გამჭირვებია“.

ლაშა ლეკაშვილი: „უკვე მესამედ წავედი ბათუმში, „შავი ზღვის თასზე“ და სამივეჯერ ჩემპიონი გავხდი. გულწრფელად გითხრათ, არ გამჭირვებია ბრძოლა და წარმატებების მიღწევა, რადგან კარგად ვიყავი მომზადებული. მოვინდომე და კარგი შედეგიც ვაჩვენე“.

„მართლაც განსაკუთრებით ლამაზი ორთაბრძოლები ჩაატარა ლაშა ლეკაშვილმა სომეხ და ყაზახ კიკბოქსინგელებთან. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მთელ გუნდს დაგვანახა, როგორი ღირსეული ცვლა იზრდება. დრამატულად დაძაბული ფინალური შეხვედრა გაიმართა ლევან წიკლაურსა და ყაზახ მსოფლიო ჩემპიონს შორის. მართლაც ძლიერი მეტოქე ჰყავდა ლევანის. საოცრად ვაჟკაცური ორთაბრძოლა წარიმართა, სამწუხაროდ, მესამე რაუნდში ცხვირის ტრავმაც დაემატა და ლევანის მარცხით დასრულდა, მაგრამ მაყურებელი აღტაცებული დარჩა ნანახით. სასიხარულოა, რომ რინგს დაუბრუნდნენ და აღნიშნულ შეჯიბრზე მონაწილეობას იღებდნენ ნოდარ ფიროსმანაშვილი, ნოდარ და ალეკო ცხოვრებაძეები. მართლაც განსაკუთრებულად ლამაზი იყო მათ მიერ შექმნილი საბრძოლო ეპიზოდები და ვირტუოზულად შესრულებული ტექნიკური ილეთები. ნოდარ ფიროსმანაშვილი ეფექტური დარტყმების უბადლო ოსტატია და ბათუმის რინგზეც გამოჩნდა მისი ნაშრომი. ამდენი წლის გაცდენის შემდეგ რამოდენიმე თვეა ვარჯიშობს და შედეგიც სახეზეა.

დრამატულად დაძაბული და ლამაზი ორთაბრძოლები ჩაატარეს გიორგი წიკლაურმა, შალვა ხოსიტაშვილმა, ალეკო ცხოვრებაძემ მათ ქართული დროშა ამაყად ააფრიალეს უცხოელ სპორტსმენებზე გამარჯვებით. ასევე ნოკაუტი დაასრულა ფინალური შეხვედრა აზერბაიჯანელ სპორტსმენთან მსოფლიო ჩემპიონმა ვალერი ვაჭრიძემ.

გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა ჩვენი გუნდის საუკეთესო მებრძოლს ნოდარ ცხოვრებაძისა და ევროპის ჩემპიონი კიკბოქსინგელის გამოსვლას. ნოდარი მთელი საქართველოსთვის ცნობილია სატელევიზიო პროექტით „კიკბოქსინგი კ-1“ რომელიც წინა წლებში პირველ არხზე გადიოდა და ნოდარი ამ პროექტის გამარჯვებული და ჩემპიონია 75 კგ კატეგორიაში. ორთაბრძოლის დაწყებიდან მეორე რაუნდში ნოდარი ზუსტი შემხვედრი დარტყმით ნოკაუტში აგზავნის აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონს და მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ეგებება მის გამარჯვებას,“ - იხსენებს თამაზ ყარაგვეზაშვილი.

ასე დასრულდა წლევანდელი ტრადიციული ბათუმის სპორტული ფორუმი კიკბოქსინგში. სპორტსმენები მადლობას უხდიან დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრს მხარში დგომისთვის და დაფინანსებისთვის.

ილია მარტყოფლიშვილი

შირაქის ველსა და მინათმოქმედებს გაუმართლათ

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე ხორბლის მოსავლის აღების პროცესს დაესწრნენ.

წელს საქართველოში ხორბლისა და ქერის რეკორდული მოსავალია, რასაც, ხელი კლიმატურ პირობებთან ერთად, სწორად შერჩეული სათესლე მასალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ შეუწყო.

კახეთის რეგიონში ხორბლის ნათესი ფართობი 35 ათას ჰექტრამდეა. წინასწარი მონაცემებით, წელს 118 404 ტონა ხორბალს ელოდებიან.

ჯამში წელს საქართველოში ხორბლის მოსავალი 166 ათას ტონაზე მეტი იქნება.

შირაქისა და ტარიბანის ველებზე ქერის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 4-დან 7 ტონამდე მერყეობს. ფერმერთა განცხადებით, წელს 1 ჰექტარზე 7 ტონა და 400 კილოგრამი ქერი მოიმკა.

მინისტრის განცხადებით, სამინისტრო აქტიურად მუშაობს მარცვლეული კულტურების წარმოების ხელშეწყობის მიმართულებით, რათა მომავალი წელი კიდევ უფრო უხვმოსავლიანი იყოს.

სამინისტროს მხარადჭერით მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის პროექტი ხორციელდება, რაც ქვეყანაში დარაიონებული და გამოცდილი ჯიშების გავრცელებას უზრუნველყოფს. შირაქის ველზე, 17 ჰექტარზე ფერმერ გიორგი თეთრაშვილს ახალი გერმანული ჯიშის ხორბალი ჰქონდა დათესილი. ფერმერმა წელს ჰექტარზე 5 ტონამდე მოსავალი აიღო, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტია.

ალოობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს მექნიზატორის 30 ერთეულამდე კომბაინი მუშაობს. „მექანიზატორის“ თანამედროვე და მაღალი ხარისხის ტექნიკა მოსავლის უდანაკარგოდ აღებას უზრუნველყობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად შირაქის ველზე მინისტრის მოადგილეები იური ნოზაძე და დავით გალეგაშვილი და შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი ზვიად ჩხაიძე იმყოფებოდნენ.

იანვარ-ივნისის პერიოდში საქართველოდან 33 ქვეყანაში 13 706 653 ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 33 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13 165 653 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 39 425 552 აშშ დოლარს შეადგენს.

სააგენტოს ინფორმაციით, წლის განვლილ პერიოდთან შედარებით, ყველაზე მაღალი ექსპორტი - 3 251 246 ბოთლი ივნისში დაფიქსირდა. "შედარებისთვის: იანვარში ექსპორტირებული იყო - 1 343 018, თებერვალში - 1 558 631, მარტში -2 198 535, აპრილში - 2 878 656, მაისში - 2 476 567 ბოთლი", - აცხადებენ სააგენტოში.

მათივე განმარტებით, საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, ექსპორტის მატებაა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორებიცაა ჩინეთი - 23%, იაპონია - 21%, ლატვია - 20%, ესტონეთი - 16%, გერმანია - 5%, აშშ - 28%, კანადა - 159%, აშშ - 61%, ყაზახეთი - 6%, დიდი ბრიტანეთი - 33%, ჰონგ-კონგი - 230% და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასეთია: რუსეთი - 6 555 183, ყაზახეთი - 2 275 722, უკრაინა - 1 257 918, პოლონეთი - 796 076, ჩინეთი - 759 969 ბოთლი.

"ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია ადგილწარმოშობის ღვინოები: "ქინძმარაული" (წითელი ნახევრადტკბილი) — 1 960 717, "მუკუზანი" (წითელი მშრალი) — 637 643 და "წინანდალი" (თეთრი მშრალი) — 432 128 ბოთლი. არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა (-63%) და უკრაინაში (-60%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ, გავლენა იქონია 6 თვის ექსპორტის სტატისტიკაზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 49%-ითაა შემცირებული. იანვარში კლების მაჩვენებელი იყო - 87%, თებერვალის მონაცემებით - 71%, მარტის - 67%, აპრილის - 58%, მაისის - 54%. ასევე აღსანიშნავია, რომ იანვარში ღვინის ექსპორტი სულ 1 6 ქვეყანაში განხორციელდა, პირველი კვარტლის მონაცემებით - 25, ხოლო ივნისისთვის 33 ქვეყანაში.

ხაზგასასმელია, რომ 2015 წლის 6 თვის ექსპორტის მაჩვენებელი (13 706 653 ბოთლი) აღემატება გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, 2014 წლის გამონაკლისით. მაგალითისთვის: 2012 წელს ექსპორტირებული იყო 9 105 787 და 2013 წ. — 11 354 671 ბოთლი ღვინო. კლება არის 2014 წელთან შედარებით (26 872 145 ბოთლი), რაც განპირობებულია მრავალწლიანი ემბარგოს გაუქმების შემდეგ, 2014 წელს რუსეთის ბაზარზე ღვინის ექსპორტის ბუმისა და პიკური მაჩვენებლით. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში 15 ქვეყანაში ექსპორტირებულია 2 523 161 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 7 073 805 აშშ დოლარს აღწევს. მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 57 402 ბოთლი (0,5 ლ) ბოთლი ჭაჭა", - განმარტავენ სააგენტოში.

ოფიციალური ინფორმაციით, მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში 58,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

ქართული ცხვარი კონკურენციას მაღალი ფასით აგებს

„საქართველოში წელიწადში 300 ათას ტონამდე მატყლი იპარსება,აქედან დიდი ნაწილი ადგილზევე ნადგურდება“

(პირველი გვერდიდან)

ჰყავს, მაგრამ მოთხოვნა დიდი აქვს და ამიტომ ცხვარი იმპორტითაც შეჰყავთ. შარშან ირანიდან დიდი დაინტერესება არ ყოფილა. იმედია, წლეულს მოთხოვნა შედარებით გაიზრდება", - ამბობს ბექა გონაშვილი.

მისივე თქმით, ხშირად მეცხვარე, რომელიც საძოვრებს ქირაობს, ხარჯების შესამცირებლად 1 ჰექტარზე დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტ ცხვარს უყრის თავს.""მართალია, ხარჯებს ამცირებენ, მაგრამ მწვანე საფარი ნადგურდება, ეროზია ჩნდება და ეს გაუდაბნოებაც იმიტომ ხდება. რამდენი წელიწადია ამ პრობლემების მოსაგვარებლად ვიბრძვით, მაგრამ ამაოდ, ჯერ შედეგი არ ჩანს", - ამბობს გონაშვილი.

საქართველოში ცხვრის დიდი წილი თუშურ ცხვარზე მოდის. თუშური ცხვარი უძველესი ქართული ჯიშია. არსებული ცნობების თანახმად, XIII-XIV საუკუნეებში ხალხური სელექციით ჩამოყალიბდა. თუშური ცხვარი უხეშმატყლიანია, თუმცა ხორცის საუკეთესო გემოთი გამორჩეული.

მეცხვარეების თქმით, მატყლი 1 კილოგრამი 50-60 თეთრი ღირს. თუმცა ტრანსპორტირების ხარჯი იმდენად მაღალია, რომ მეცხვარეებს გაყიდვა არ უღირთ და მატყლს ანადგურებენ.

"ჩვენი მატყლი დაბალი ხარისხისაა, უხეში. ამიტომ მასზე მოთხოვნაც დაბალია. კომუნისტების დროს სახელმწიფო ყიდულობდა და შინელებს კერავდა. ჩვენთან წელიწადში 300 ათას ტონამდე მატყლი იპარსება, აქედან დიდი ნაწილი ადგილზევე ნადგურდება. დაახლოებით 1 000 ტონა რჩება, ერთი ნაწილი შიდა მოხმარებისთვის გამოიყენება, მცირე ნაწილი კი ექსპორტზე გადის", - დასძენს გონაშვილი.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, ის ცხვრის ექსპორტისთვის საჭირო სერტიფიკატს გასცემს, სადაც ცხვრის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია ივსება წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე. ამ სერტიფიკატს კი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა ორგანო გასცემს. 1-ლი ივლისიდან ძალაში შედის ცხოველთა იდენტიფიკაციის წესი, რომლის მიხედვით, ამა თუ იმ ცხოველის (ცხვარი, მსხვილფეხა საქონელი) შესახებ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, წარმოშობის შესახებ, თავს მოიყრის ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სწორედ ამ რეესტრის მიხედვით გასცემენ საექსპერტო სერტიფიკატს."

"საქსტატის" ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოდან ცხვრის ექსპორტი 10%-ით შემცირდა. 2014 წელს 15,547 მლნ დოლარის ღირებულების ცხვრის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო 2012 წელს კი 18,156 მლნ დოლარის ღირებულებისა. 2013 წელს ყველაზე დიდი რაოდენობით - 13,622 მლნ დოლარის ღირებულების 171 719 სული ცხვარი ექსპორტზე აზერბაიჯანში გავიდა.

ყველაზე დიდი მადლი

დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლში, სადაც ეწევა, ღვთისმსახურებას მამა პეტრე უკვე ხუთი წელია, ახალგაზრდა გოგონები გალობენ. სამლოცველო სახლში, სადაც წლები რუსი ბებიები გალობდნენ, სკოლის მოსწავლე გოგონებმა ჩაანაცვლეს. აღარ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ იმ საქმეს, რასაც ისინი ემსახურებიან ეკლესიაში, ძალიან საპასუხისმგებლოა ეს სათნო და ყველასთვის მისაბაძი გოგონები ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი სახეები-ანა, მარიამ, ლიკა ლოლაშვილები, სოფიო მენთეშაშვილი და ქეთევან ჩაფიაშვილი არიან. წელს ამ გოგონებიდან სამი მათგანი აბიტურიენტია და უტყუარია, მათ ეროვნული გამოცდების შემდეგ, სექტემბრიდან დედაქალაქში მოუწევთ ცხოვრება. იმდენად მოხიბლული ვარ ამ გოგონების მიერ უკვე გაწეული საღვთო შრომით, რომ არ მინდა, ისინი ჩემი ყურადღების გარეშე გავუშვა დედოფლისწყაროდან. ამიტომ, ერთ-ერთი წირვის შემდეგ, სამლოცველო სახლის მგალობლებთან ინტერვიუ ჩავიწერე.

-გოგონებო, რას ნიშნავს თქვენთვის, იდგეთ ტაძარში და გალობდეთ?

-ეს, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, იმიტომ რომ, ჩვენ სახე ვართ ეკლესიის ცხოვრების და ყველა ჩვენი ნაბიჯი გაცნობიერებულია, როგორც მგალობლის. მეუფემ გვითხრა ერთხელ, რომ ყველაზე დიდი მადლი მღვდლის შემდეგ გადმოდის მგალობლებზეო და ეს ძალიან გაგვიხარდა, ამიტომაც ბევრად მეტს გვავალებს ის საქმე, რასაც ტაძარში ვემსახურებით, ვიდრე, რაიმე სხვა.

-იქნებ გვითხრათ, თავდაპირველად როგორ დაიწყეთ, როგორ მოხდა, რომ მგალობლები გახდით?

-მეუფე მელქისედეკის კურთხევა გვაქვს, თავიდან მუსიკალურ სკოლაში ვოკალის პედაგოგი მარიკა პირზადოვა ამზადებდა ბავშვებს და ჩვენც გადავწყვიტეთ, მის გაკვეთილებზე გვევლო. რადგან მუსიკალური სკოლიდან მისი მოსწავლეები ვართ, სიამოვნებით დავდიოდით ამ მეცადინეობებზე. ბოლოს, ეს მცდელობა სერიოზულ საქმედ გადაგვექცა, ვსწავლობდით და თან სოფლებში საგალობლად დავდიოდით, გვახსოვს, პირველად ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის ტაძარში ვიგალობეთ, მერე, როცა განახლდა ეს ტაძარი, მეუფემ გვაკურთხა ამ სახლის მგალობლებად და ასე დავიწყეთ.



- გაიხსენოთ ყველაზე დასამახსოვრებელი ქადაგება?

- სამწუხაროდ, ჩვენ ყველაზე ცუდი ღამე გვახსოვს, როცა ეს სამლოცველო სახლი დაიწვა და მამაომ იქადაგა. ის ღამე ყველაზე უბედური იყო ჩვენთვის, ყველაფერი ისე გავითავისეთ, როგორც საკუთარი სახლი დაგწვოდეს, ვტიროდით და გლოვაში ვიყავით. შემდეგ იყო გამონათება და ყველაზე კარგად ის აღდგომის ღამის ტრაპეზობა გვახსენდება, როდესაც სამლოცველო სახლის აღდგენის შემდეგ პირველი აღდგომის ლიტურგია ჩატარდა. გვახსოვს, რომ სამ საათზე მოვრჩით და დილის ათ საათამდე აქ ვიყავით, ძალიან ლამაზი დღე იყო, ყველას ორმაგი სიხარული გვეუფლებოდა იმ დილას, პირველი იმიტომ, რომ აღდგომა იყო, მეორე იმიტომ, რომ სამლოცველო სახლში წირვა-ლოცვა განახლდა.

- ადრე ასე იყო, წარჩინებული მოსწავლეები იყვნენ ახალგაზრდების იდეალები, მერე კარგად ჩაცმული გოგოები მოხვდნენ ყურადღების ცენტრში, იყო პერიოდი, ძალიან თამამი, თავქარიანი და ლაღი გოგონები გახდნენ თვალსაჩინონი, ამჯერად თქვენ ხართ რაიონში ყველაზე მისაბაძი გოგოები, რომლებიც კარგადაც სწავლობთ, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურები ხართ და, ამავე დროს, ეკლესიურად და თავმდაბლად ცხოვრობთ. რა შეიცვალა, იგრძნობა თუ არა საზოგადოების განსაკუთრებული დამოკიდებულება თქვენდამი, როგორც მგალობელი გოგონებისადმი?

- ის შეიცვალა, რომ საზოგადოებაში რწმენა გაღრმავდა, ყველაფრის საწყისი უფალია და ისიც, რაც ხდება, უფლის ნებაა. განსაკუთრებულ მოპყრობას ნამდვილად ვგრძნობთ, ყველა გვეპყრობა თბილად, მამა პეტრე საკუთარი შვილისგან არ გვანსხვავებს, საზოგადოების ყველა ფენისგან ვგრძნობთ კეთილგანწყობას და ერთიც, ყველა ისევ პატარა გოგონებად გვთვლის, რაც ერთდროულად სასიამოვნოცაა და დისკომფორტულიც. არადა, თითქოს ავიწყდებათ, რომ უკვე გავიზარდეთ.

- რა მადლი ტრიალებს აქ, ტაძარში რას გრძნობთ, როგორია თქვენი ემოცია აქ ყოფნისას?

- მამაოს ბევრჯერ უთქვამს, აქ იმხელა მადლი ტრიალებს, თქვენ რომ ხილულად ხედავდეთ, აქედან გასვლა აღარ მოგინდებოდათო, აქ რომ არ მოვიდეთ, რა თქმა უნდა, საპატიო მიზეზის გამო, იმ კვირას თითქოს წარმატებული კვირა არ გვაქვს, იმ კვირაში თითქოს ყველაფერი უკუღმა მიგვდის და ხშირად მივაწერთ, ტაძარში რომ არ ვიყავით იმ კვირაში, ამიტომ მოგვევლინა განსაცდელი. როცა აქ მოვდივართ, ისეთი დიდი მადლით ვივსებით, რომ აუცილებლად წარმატებული კვირა გვაქვს.

- თქვენგან სამნი მიდიხართ სასწავლებლად თბილისში, ცხადია, აქ წირვა-ლოცვას ვეღარ დაესწრებით და ვერც იგალობებთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

- მამა პეტრე ხშირად გვეტყვის ხოლმე, ვინც არ უნდა გახდეთ, ეს კერა, ეს სამლოცველო იქნება ყოველთვის თქვენი საწყისი, ყველაზე სანუკვარი , ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ადგილი. მართალია, უთქვენოდ გაგვიჭირდება, მაგრამ გვყვავდა ჩვენ ერთ- ერთი მგალობელი გოგო, რომელიც შარშან სასწავლებლად წავიდა თბილისში, ეს გახლავთ თეონა ბენაშვილი და მისგან ვიცით, რომ ის თბილისში თავის საცხოვრებელთან ახლოს მდებარე ტაძარში გალობს, ასე რომ, მან გააგრძელა თავის საქმე სტუდენტობასთან ერთად. ვფიქრობთ, ჩვენც ასე მოვიქცევით. რაც შეეხება იმას, თუ აქ ვინ ჩაგვანაცვლებს, არიან გოგონები, ვისაც სურვილი აქვთ შეისწავლონ გალობა და იგალობონ ტაძარში, ისინი უკვე დადიან მარინა მასწავლებელთან, სწავლობენ, მეცადინეობენ, ჩვენს ტაძარშიც გვესწრებიან და გვისმენენ. ვფიქრობთ, ისინი შემოუერთდებიან აქ დარჩენილ მგალობლებს.-ამბობს ქეთი ჩაფიაშვილი.

- ამბობენ ეკლესიური ადამიანები სხვანაირად მშვიდები არიან, თქვენს სახეზე შესაშურ სიმშვიდეს და სათნოებას ვხედავ,თუმცა, ალბათ გაქვთ ხოლმე ცხოვრებისეული პრობლემები, ამ დროს რას შვრებით, გამოხატავთ აღშფოთებას, ბობოქრობთ, თუ ერევით საკუთარ თავს და ინარჩუნებთ სულიერ სიმშვიდეს, რამდენად გეხმარებათ ტაძარი ასეთი განსაცდელის ჟამს?

- კი, პრობლემები გვხვდება ხოლმე და სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვინარჩუნებთ სულიერ სიმშვიდეს, ვღელავთ და ხმამაღლაც გამოვხატავთ, მეგობრებს ვუზიარებთ ჩვენს გულისტკივილს, სწორედ მაშინ მოვდივართ აქ და მხოლოდ ერთი მხრიდან რომ ვუყურებთ საკითხს, მამაო ისეთი მხრიდან დაგვანახებს, ისე დაგველაპარაკება, მივხვედრილვართ, რომ თურმე სულ არაფერი ყოფილა სანერვიულო და მაშინვე ვმშვიდდებით.

- აშკარაა, რომ თქვენ ხართ სანიმუშო მოსწავლეები სწავლაში, ხართ წარჩინებულები და სწორედ თქვენ აიღეთ ეკლესიაში გალობა თქვენს თავზე, იქნებ ამან გამოიწვია, რომ დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობა თქვენს გზას ადგას, თქვენ გბაძავენ?!

- არ ვიცით, რამდენად მისაბაძები ვართ, ჩვენ გვგონია, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია იმისთვის, რომ მისაბაძნი ვიყოთ, მაგრამ დიდისგანაც და პატარისგანაც ჩვენდამი დიდი სიყვარული რომ მოდის, ამას კი ვგრძნობთ.

- თქვენგან ერთ- ერთი ინგლისში იყავით სკოლიდან გაგზავნილი, როგორც საუკეთესო მოსწავლე, მეორე ამერიკაში მოხვდით ფლექსისის პროგრამით, ასევე საუკეთესო მოსწავლეობისთვის, დები ლოლაშვილებიც წარმატებით მიაპობენ თავის გზას, აქვთ უამრავი წარმატება და წინსვლა, ყველა სფეროში აქტიურად ხართ ჩართული თითოეული, როგორ ფიქრობთ, თქვენი რწმენა და ეკლესია გეხმარებათ ამაში?

- რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენი წარმატება რწმენიდან მოდის, უფლის მფარველობას ყოველწუთს ვგრძნობთ, როცა რაღაც ისე არაა, ესეც უფლის ნებაა და ჩვენს თავს მეტი ლოცვისა და რწმენისკენ მოვუწოდებთ, ნათელი სხივიც უმალ ჩვენს გვერდით ჩნდება.

- ნათქვამია, რომ ეკლესია სათნოს და მშვიდს ხდის ადამიანს, ისე ამშვიდებს რწმენაში ღრმად შესულ ადამიანს, რომ მას არავითარი ფსიქოლოგი აღარ სჭირდებაო, თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა უგულებელვყოთ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება და მივცეთ თავი ეკლესიას სრულად?

-რა თქმა უნდა, ეკლესია და რწმენა ძალიან დიდ სიმშვიდეს სძენს ადამიანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება უარვყოთ, პირიქით, ეკლესია ყველანაირ მეცნიერებას აღიარებს და ყველა მეცნიერული დარგის განვითარებას ხელს უწყობს.

- სად და რაშია თქვენთვის უფალი?

- სიტყვებით ვერ გადმოვცემთ, უფალი ყველგანაა, ეს უნდა იგრძნო, ამას სიტყვები ვერ იტყვის, სიყვარულია უფალი, რომელიც გვეხმარება და იმედით აღგვავსებს. შესაძლოა, ამ კითხვას არ პასუხობს, მაგრამ მოვყვები, რათა უკეთ ავხსნათ უფლის ძალა და მიხვდება ყველა, რომ კითხვის ადექვატური პასუხია. (ყვება სოფიო მენთეშაშვილი) როცა ინგლისში ვიყავი, მე გერმანელ გოგონასთან მოვხვდი ოთახში საცხოვრებლად. იქ საღამოობით ჩემი ლოცვების წიგნს გადავშლიდი და ჩუმად ვკითხულობდი. რამდენიმე საღამო ასე მიყურა გერმანელმა გოგონამ, ერთ საღამოს მთხოვა, რომ ხმამაღლა წამეკითხა ლოცვები, რათა მასაც მოესმინა, მეც, რაღა თქმა უნდა, ხმამაღლა კითხვა დავიწყე და იცით, რა მოხდა?!- ეს გოგონა მისმენდა, ისე მისმენდა, რომ თითქოს ესმოდა ჩემი ენა, მერე ამბობდა ხოლმე, რომ სიმშვიდე მომანიჭა შენმა ლოცვებმაო. აი, ეს არის ღმერთი და მისი ძალა, ღმერთი ყველაფერშია, შესაძლოა, ადამიანს არც ესმოდეს ის ენა, მაგრამ მას სიმშვიდე მიანიჭოს.

- რას გრძნობთ ერთმანეთის მიმართ მგალობელი გოგონები, ალბათ ამას ყველაზე ძლიერი და ამაღლებული მეგობრობა ჰქვია, არ მეთანხმებით?

- კი, ეს სულ სხვა მეგობრობაა, უთქმელი მეგობრობა, რომელიც ისე გვკრავს ერთ მუშტად რომ ამას არანაირი ახსნა არ აქვს. ხომ გყვავს სხვა მეგობრებიც, რომლებთანაც ხშირად ვსაუბრობთ, გულის ნადებს ვუზიარებთ, ჩვენ, მგალობლებმა, შესაძლოა, ისე ჩავამთავროთ წირვა- ლოცვის გალობა და ისე დავშორდეთ ერთმანეთს, რომ ერთი სიტყვაც ვერ ვუთხრათ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვგრძნობთ, ეს მეგობრობა მაინც სულ სხვაა, უთქმელი, მტკიცე და ურყევი, რომელსაც ვერანაირი წლები ვერ წაშლის.

- გიყვართ ლიტერატურის კითხვა?

- კი, ახლახანს წავიკითხე სიუზენ კოლინზის „შიმშილის თამაშები" და ჯეინ ოსტინის „სიამაყე და ცრურწმენა", რითაც აღტაცებული ვარ და შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფები, - მპასუხობს ანა ლოლაშვილი.

- რა ჰქვია იმ საქმეს, რისი კეთებაც სწავლისა და ეკლესიის შემდეგ, სიამოვნებას განიჭებთ?

- პირველ რიგში, ყველას ძალიან გვიყვარს კითხვა, მე პირადად, ხელსაქმეც მიყვარს, ეზოში მუშაობაც,- ამბობს ანა ლოლაშვილი.

- კითხვა და მუსიკის მოსმენა,-ამბობს მარიამ ლოლაშვილი.

- მე უნდა ვაღიარო, რომ კითხვის , წერის და სწავლის გარდა არაფრის კეთება არ მიყვარს. მცირედით, მაგრამ მაინც, უფრო საოჯახო საქმეები მეხერხება,-ამბობს სოფიო.

- სულ მალე ეროვნული გამოცდები დაგეწყებათ, სად აბარებთ, რა სპეციალობები გაქვთ არჩეული?

- ფილოლოგიურზე ვაბარებ, ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობით.- ამბობს სოფიო მენთეშაშვილი.

- ფილოლოგია- სოციოლოგია მაქვს არჩეული, -ამბობს ლიკა.

- საერთაშორისო სამართალი და ფსიქოლოგია ,- გვპასუხობს ქეთი ჩაფიაშვილი.

- რას უსურვებთ დედოფლისწყაროელებს?

- სულიერ სიმტკიცეს, იმედს, უყვარდეთ ერთმანეთი.

წარმატებები მინდა გისურვოთ გოგონებო, ღვთის წყალობა და მისი მფარველობა ვიცი არ მოგაკლდებათ, თქვენს სწავლისა და შრომისმოყვარეობის სიყვარულს კი მტკიცება აღარ სჭირდება, გვჯერა, მაღალ მწვერვალებს დაიპყრობთ. ბედნიერ მომავალს გისურვებთ.

ლალი მეხრიშვილი

ფრაგმენტები ერთი ქალის ცხოვრებიდან...

მწვანედაბიბინებულ ეზოში ხუთი სხვადასხვა ასაკის ბავშვი თამაშობს, ირგვლივ საოცარი სიმყუდროვეა, რომელსაც შიგადაშიგ ბავშვების ყიჟინა არღვევს, სისუფთავე სუფევს ყველა კუთხე -კუნჭულში, ჭიშკარში ახალგაზრდა, სიმპატიური ქალბატონი გვეგებება და ღიმილიანი სახით ეზოსკენ მიგვიძღვის, ტკბილეულს გვთავაზობს და ასევე ტკბილად იწყებს მოყოლას თავისი ცხოვრების უახლესი ისტორიიდან.

ის ძალიან ახალგაზრდაა, ხუთ ბავშვს ზრდის, სახელმწიფოს შემწეობის ქვეშ მყოფი ოჯახი აქვთ,მაგრამ მაინც ძალიან მხნედ და ხალისიანად გამოიყურება, მასთან საუბარი არ მოგწყინდება ...დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობს ხან ბოსტანში, ხანაც სახლში, საკუთარი ჭერი ჯერ არ აქვთ, თუმცა, იმედს არ კარგავს, რომ მომავალში აუცილებლად ექნებათ, ჯერჯერობით კი ქირას სახელმწიფო უხდის. ტანსაცმლით მეზობლებიც ეხმარებიან, მაგრამ სხვა ბევრი ვერაფრით,ისინი ამაზეც მადლიერები არიან. ყველაზე უმცროსი ორი წლისაა, უფროსი 11-ის. თითოეული მათგანი დედას თავისებურად ეხმარება, ცდილობენ ტვირთი შეუმსუბუქონ, გრძნობენ და ხედავენ, რომ მამა მაინცდამაინც თავს არ იწუხებს ფიზიკური შრომითა თუ სხვა პრობლემების მოგვარებით.

- ქ-ნო მარი,(პირობითად) როგორ უძღვებით ამდენ თავსატეხს და პრობლემას ერთად, ამდენ სიდუხჭირეს იმ პირობებში, როდესაც ამ ბავშვების გამოკვება ყოველდღიურ საფიქრალად გაქვთ ქცეული, მეუღლე სათანადოდ ვერ გიდგათ გვერდით, ის ამ პრობლემების გადაჭრას ალკოჰოლის მიღებას ამჯობინებს და ჩვენ ყველამ ვიცით, თქვენ როგორ ცდილობთ, ყველაფერი თქვენს თავზე აიღოთ და შეუძლებელი შესძლოთ, რა გაძლევთ ამ ყველაფრის ძალას და ენერგიას, რა არის თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდი სტიმული?

-ჩემი ცხოვრების ყველაზე მთავარი მამოძრავებელი ძალა და სტიმული არის სიყვარული- პირველ რიგში, უფლის, ჩემი შვილების, ჩემი ოჯახის, მეუღლის, ჩემი ქვეყნის...ყოველ დილა რომ ვიღვიძებ, ღმერთს მადლობას ვწირავ, ასეთი ლამაზი და ჯანმრთელი შვილები რომ მაჩუქა, ჩვენს გვერდით უამრავი ადამიანი ხომ მოკლებულია ამ ბედნიერებას? რა მნიშვნელობა აქვს, რას ჩაიცვამენ, მთავარია, ადამიანებად აღვზარდო, ერთმანეთის სიყვარული და ზრუნვა ვასწავლო, ცხოვრება მერე ამათთვისაც გამოიმეტებს იმას, რასაც დაიმსახურებენ.

მე და ჩემი მეუღლე ძალიან პატარა ასაკში სიყვარულით შევუღლდით, გლეხის ოჯახიდან ვართ ორივე და ჩვენს სწავლაზე არც არავის უფიქრია თავიდანვე, დავრჩით ასე უსწავლელები და უპროფესიოები, ხალხს ორ-ორი დიპლომი უდევთ სახლში და ისინი ვერ შოულობენ სამსახურს და ჩვენ ვინ მოგვცემს, ამაზე ხომ ადრე უნდა გვეფიქრა? ცხოვრებამ მაშინ გაგვფილტრა საბოლოოდ, როდესაც ასეთმა უსწავლელებმა და არასრულწლოვანებმა ოჯახი შევქმენით, თანაც იმ ფონზე, რომ მშობლებისგანაც არაფერი დანატოვარი არ გვქონდა... მაგრამ არავის ვემდურით, ეს ჩვენი ხვედრია, ასე გაჭირვებით მოვდევთ სულ ცხოვრებას და ეს ჩვენთვის ძალიან ნაცნობი მდგომარეობაა, მე ბევრი სხვა რამ უფრო მიკვირს, მიკვირს თუნდაც ის, დღეს ასე აქტიურად რომ საუბრობენ ერთსქესიანთა ქორწინებაზე, ჰომოსექსუალიზმზე და ათას სხვა უბედურებაზე, ჩამორჩენილ ქალად არ ჩამთვალოთ, მაგრამ ეს ჩემთვის ნამდვილად უბედურებაა... მე ჩემს შვილებს ასეთი გადაცემების ყურებასაც კი ავუკრძალავ, რომ წამოიზრდებიან, ჩემთვის ოჯახი არის მთავარი პრიორიტეტი, ამიტომ ვითმენ ბევრ რამეს, თუნდაც ჩემი მეუღლის ზოგჯერ გადაბმულად სმას, ზოგჯერ დაუმსახურებლად კამათსა და ჩხუბსაც, რა ვქნა, ოჯახის თავი მამაკაცია და როგორიც არის ის, ისეთი უნდა მივიღო, ის ჩემი არჩევანია, აბა სხვისი კარგი ქმარი ჩემს შვილებს რას არგებს, არასოდეს მიფიქრია ოჯახის დანგრევაზე და არც ბავშვის მოცილებაზე, ღმერთმა რადგან მომცა, ესეიგი უნდა გავაჩინო და გავზარდო. თბილისში გვყავს ძალიან შეძლებული ნათესავის ოჯახი, რომელთაც წლებია, შვილი არ ჰყავთ, მესამე ბავშვიდან რომ დაიწყეს, სულ გვეხვეწებიან, რომ ერთი შვილი მათ მივანდოთ აღსაზრდელად, მაგრამ წამითაც არ დავფიქრებულვარ არასდროს, მიმაჩნია, რომ ისინი ბიოლოგიურ და-ძმასთან და მშობლებთან ბავრად მეტს მიიღებან და ბევრად ბედნიერები იქნებიან, თუნდაც სიღატაკეში, ვიდრე ფუფუნებაში და იქ, სადაც უფალმა მათი ადგილი ჩასახვისთანავე არ განამწესა. ალბათ, გაგიკვირდებათ,მაგრამ ახლა მეექვსე ბავშვის მოლოდინში ვართ და სულ არ მეშინია, პირიქით, სტიმული მემატება და მგონია, შეუძლებელს შევძლებ, 30 წლის ვარ, მაგრამ ისევ ოცი წლის მგონია ჩემი თავი, დაღლას ვერ ვგრძნობ და რატომ უნდა ვთქვა უარი, უბრალოდ არ მესმის...

- რა არის თქვენი ყველაზე დიდი ნატვრა, რაზე ოცნებობთ?

-ჩემი უდიდესი ოცნებაა, რაც მე დამაკლდა, ჩემს შვილებს ჰქონდეთ, მინდა, ისწავლონ, სამშობლოსაც გამოადგნენ და თავიანთ ოჯახებსაც, მინდა, ყველას საკუთარი ჭერი ჰქონდეს და დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი ოჯახების რჩენა, იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ჩემთვის ეს არის ყველაზე უმთავრესი, ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შევასრულე და ტყუილად არ მიცხოვრია....ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ჩვენმა რესპოდენტმა, რომელიც მრავალშვილიანი დედის პრინციპით შევარჩიეთ და გვეგონა, მისგან ბევრ წუწუნს მოვისმენდით, მაგრამ მისმა ოპტიმიზმმა გაოცებული დაგვტოვა და კიდევ ერთხელ დაგვიფიქრა ცხოვრების მთავარ პრიორიტეტებზე, მოტივაციასა და ღირებულებებზე.

ელზა ხარაშვილი

თამილა ნადირაშვილი ევროპული დონის პედაგოგია

ნებისმიერი კლასიკური ნაწარმოების ნოტებში თითქმის დაწვრილებით არის ნაჩვენები თითოეული შტრიხი, დეტალი, ნიუანსი. ქაღალდზე თითქოს ყველაფერია გამზადებული მაღალმხატვრული შესულებისთვის... ნოტებს შორის ჩამალული მხატვრული არსის დაჭერაც რომ შეძლოს მასწავლებელმა და ფორტეპიანოზე „დამკვრელობითი ხარისხით“ გააკეთებინოს მოსწავლეს, მოსწავლე და მასწავლებელი მაინც ვერ გაცდება, მე ვიტყოდი, მიწიერი შემსრულებლობის საზღვრებს...

პიანიზმი კი ღვთის საიდუღლოა...

არიან პედაგოგები, რომლებიც ხელში გრძნობენ სწორ გზას ამ საიდუღლოსკენ. მათზე, უკვე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ევროპული დონის პედაგოგები არიან...

სწორედ ასეთი პედაგოგია თამილა ნადირაშვილი.

ქალბატონმა თამილამ დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლას ბევრი წარჩინებული მოსწავლე გაუზარდა. მათ შორის, ნინო ხუციშვილი - 1997 წლის საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების პირველი დათვალიერება-კონკურსის ლაურეატი, პირველი მსოფლიო საყმაწვილო დელფიადის მონაწილე და სერთიფიკატის მფლობელი.

ახლა კი მალვინა ისმაილოვა - ი. ს. ბახისადმი მიძღვნილ საერთაშორისო მოძრაობის ეგიდით ჩატარებულ რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი და III პრემიის მფლობელი!

11 ივნისს მოსწავლე-მასწავლებელმა კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართეს, სადაც შეასრულეს გენიოსთა მსოფლიო შედევრები... ასეთი კონცერტები, როგორც ჰაერი და წყალი, ისე სჭირდება ნებისმიერ საზოგადოებას, ადამიანის სულს...

მიხარია, რომ მიუხედავად ასეთი „მოკაშკაშე“ შოუბიზნესის ჭრელ, ფუჭი „ხელოვნების“ ხმაურში ადამიანები მაინც ახერხებენ განასხვაონ ღირებული არაღირებულისგან, შემეცნებადი ხელოვნება ადამიანის პიროვნების დამშლელი „ხელოვნებისგან“...

11 ივნისს ჩვენი სკოლის დარბაზი ასეთი მაღალკულტურული, გემოვნებიანი მსმენელით გაივსო... იყო დიდი თვითჩაღრმავება, სიმშვიდე, ამაღლებული გრძნობა, გულწრფელი სიხარული და დროებით მიწიერი სამყაროს მიტოვება...

მადლობა თამილას!
მადლობა მალვინას!
მადლობა მსმენელს!

მარიამ კიკილაშვილი
ხელოვნების სკოლის დირქტორი

ყოველ სამ კაცზე ერთი მანქანა!

საქართველოში ავტომობილების რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება. 2014 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სულ 1 054 000 მანქანაა რეგისტრირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყოველ მესამე ადამიანს მანქანა ჰყავს. სპეციალისტები ამ მაჩვენებელს საგანგაშოს უწოდებენ და ხელისუფლებას სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებენ.

როგორც გაზეთი "რეზონანსი" წერს, 3 წლის წინათ საქართველოს მასშტაბით 806 000 ავტომობილი იყო რეგისტრირებული, ხოლო 2011 წელს მათი რაოდენობა 745 000-ს არ აღემატებოდა. 2012 წლიდან მოყოლებული, ავტომობილების რეგისტრაციამ 8,2%-ით მოიმატა, 2013 წელს კი - 9,1%-ით. რაც შეეხება 2014 წელს, როგორც ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი აცხადებს, ავტომანქანების რაოდენობამ 1 054 000 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ავტოპარკის 60,9%-ს მსუბუქი ავტომანქანები შეადგენს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (90,9%) 2004 წლამდეა წარმოებული. არსებული მონაცემებით, ავტოპარკის 40% თბილისშია თავმოყრილი. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ინფორმაციით კი, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ბოლო 7 წელიწადში ნახევარი მილიონი ავტომობილით არის გაზრდილი.

მანქანების რაოდენობა ძველი ავტომობილების ხარჯზე მატულობს. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილის ინფორმაციით, 400 000-ს აჭარბებს იმ მანქანების რაოდენობა, რომელთა ასაკი 20 წელს აღემატება. ეს არის ის კატეგორია, რომელთაც ტექდათვალიერების გავლა გაუჭირდება. ყველაზე მეტი ავტომობილია 10-დან 20 წლამდე. რაც შეეხება სრულიად ახალ ავტომობილებს (0-დან 3 წლამდე), მესხიშვილის თქმით, მათი რიცხვი 50 ათასს არ აღემატება, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

მანქანების რაოდენობის ზრდა არასწორი პოლიტიკის შედეგია. ქვეყანამ ალტერნატიულ საშუალებებს უნდა მიმართოს, კერძოდ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას შეუწყოს ხელი, რაც ქვეყანაში კერძო ავტომობილებზე მოთხოვნას საგრძნობლად შეამცირებს.

მესხიშვილის აზრით, საქართველოში ავტომობილების რაოდენობა ქაოსურად იზრდება და ხელისუფლება ვერანაირ რეგულაციას ვერ აწესებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. "ამდენი ავტომანქანა სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს არის შედეგი იმისა, რომ დარგი არასწორი პოლიტიკით ვითარდება. გარდა ამისა, ჩვენ შემთხვევაში, ბევრი და ძველი მანქანა გაჭირვების მიზეზია, ვინაიდან ავტომობილების უმეტესობა განკუთვნილია იმისათვის, რომ ადამიანებმა მცირე შემოსავალი მიიღონ. მანქანების რაოდენობის ზრდა, ერთი შეხედვით, შესაძლოა, კარგიც იყოს, მაგრამ რეალურად სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. საქართველოში ავტომობილს ყიდულობს ყველა - სჭირდება თუ არ სჭირდება. ეს ხდება იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი არასწორად ვითარდება. ევროპაში ამ დარგის განვითარების

მხრივ სერიოზული ღონისძიებები გატარდა და ახლაც ტარდება. მაგალითად, ავტომობილების რაოდენობის შესამცირებლად ბელგიის მუნიციპალიტეტმა თანამშრომლებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე უფასო ბილეთები დაურიგა. შედეგად მიიღო ის, რომ ერთმა ავტობუსმა დაახლოებით 100 მანქანა გააჩერა", - აცხადებს მესხიშვილი.

შესაბამისად, საქართველოში აუცილებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და პარალელურად ხალხის წახალისება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრონ. "მიგვაჩნია, რომ ტრანსპორტის მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა სამსახური, რომელიც რამდენიმე უწყებაშია გადანაწილებული, ერთ სტრუქტურაში უნდა მოექცეს და შეიქმნას სპეციალური სამინისტრო ან თუნდაც დეპარტამენტი. ასეთი უწყება ყველა ქვეყანაშია და აუცილებელია, სასწრაფოდ აქაც გატარდეს სწორი რეფორმა და შეიქმნას ტრანსპორტის სამინისტრო. დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ერთი ხელმძღვანელი და არა 14, რომლებიც კოორდინაციაში არ არიან ერთმანეთთან, შედეგად კი საქმე ფუჭდება. შემაშფოთებელია იაპონიიდან ავტომანქანების ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი. 2012 წელთან შედარებით, 2014 წელს იაპონიიდან მანქანების ექსპორტი 283%-ითაა გაზრდილი. 2012-ში შემოვიდა - 12-13 ათასი, 2014-ში - 45 000 ათასი, აქედან 90% მარჯვენასაჭიანი. ეს ჩვენი საგზაო მოძრაობისთვის კატასტროფაა. არ გამოვრიცხავ, რომ 2015 წელს მარჯვენასაჭიანების იმპორტმა მარცხენასაჭიანებს გაუსწროს. აუცილებელია, რომ მარჯვენასაჭიანების იმპორტზე გარკვეული შეზღუდვა დაწესდეს, რადგან ისინი საგზაო მოძრაობას ართულებენ", - განაცხადა მესხიშვილმა.

ავტოექსპერტი, ჟურნალ "ავტობილდის" რედაქტორი შალვა ბუაჩიძე ფიქრობს, რომ საქართველოში მანქანების რაოდენობა უახლოეს რამდენიმე წელიწადში კიდევ მოიმატებს, მაგრამ ეს პრობლემა არ არის. ბუაჩიძე თვლის, რომ ქაოსური მოძრაობის საკითხი ურბანისტების აქტიური ჩარევით უნდა მოგვარდეს. "საზოგადოებრივ ტრანსპორტს რაც უნდა პოპულარიზაცია გაეწიოს, ავტომობილებზე მოთხოვნას ვერ შეამცირებს. იგი, გარკვეულწილად, მოაგვარებს მოძრაობის პრობლემას, როგორც ეს ევროპულ ქვეყნებშია, მაგრამ მოკლე ვადაში ამით შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია. ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას ეჭვით ვუყურებ. ქართველი კაცი, რომელსაც მანქანა ჰყავს, მეტროთი არ იმგზავრებს, ეს გამორიცხულია. ქაოსური მოძრაობის პრობლემა ურბანისტების ჩარევით უნდა მოგვარდეს, რომ გამოსავალი მოიძებნოს, თუმცა მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის არ უნდა იყოს მძიმე. ხალხს გაუჩნდა საშუალება და ავტომანქანებს ყიდულობს, ტენდენცია სამომავლოდაც გაგრძელდება, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. სპეციალისტების აქტიური და სწორი ჩარევით, ალბათ, საცობებთან დაკავშირებული პრობლემაც მოგვარდება", - აცხადებს ბუაჩიძე.

რატომ მოითხოვა ქართულმა მხარემ ლარსის გამშვებ პუნქტზე სამუშაო დროის შემცირება?

რა გახდა გუდაური-კობის მონაკვეთზე ასობით სატვირთო ავტომობილის შეყოვნების რეალური მიზეზი

"ღვარცოფული ნაკადის მოვარდნის შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე, ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე 24-საათიანი მუშაობის განრიგი, ქართული მხარის მოთხოვნით შეიცვალა. 7 ივნისიდან გამშვები პუნქტი მხოლოდ დღის განმავლობაში იმუშავებდა. ამ გადაწყვეტილებამ სატრანსპორტო ნაკადის გადაადგილების შეფერხება და მძღოლების უკმაყოფილება გამოიწვია", - ინფორმაცია კობი-გუდაურის მონაკვეთზე სატრანსპორტო გადაადგილების შეფერხების რეალური მიზეზის შესახებ, ბპნ-ს რუსულმა გამოცემა „კავკაზკი უზელმა" ადგილობრივ უწყებებთან გადამოწმების შემდეგ მიაწოდა.

გუდაური-კობის მონაკვეთზე შექმნილი საცობის მიზეზად გასულ კვირას საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გაზრდილი ტვირთბრუნვა დაასახელა.

"შესაბამისად, გაზრდილია ტრაილერების ნაკადი და რუსული მხარე ლარსის საბაჟოზე ვერ უზრუნველყოფს მათ დროულად გატარებას. პრობლემა მომდინარეობს არა ქართული, არამედ რუსული მხრიდან. გაზრდილია ნაკადი, განსაკუთრებით სომხური ტრანზიტის ხარჯზე. ჩვენ ვატარებთ ძალიან სწრაფად, თუმცა რუსული მხარე ვერ უზრუნველყოფს მათ დროულად და ეფექტიანად გატარებას. ჩვენ დამოკიდებულები ვართ რუსულ მხარეზე", - ნათქვამი იყო შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ განცხადებაში.

ინფორმაციის დაზუტების მიზნით, ჩვენ ინტერნეტ გამოცემა "კავკაზკი უზელს" დავუკავშირდით. რუსმა კოლეგებმა ჩვენი შეკითხვებით რუსეთის უსაფრთხოების

სამსახურს მიმართეს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სატრანსპორტო გადაადგილების შეფერხება ქართული მხარის მოთხოვნამ განაპირობა.

"ღვარცოფის შესაძლო მოვარდნის საფრთხიდან გამომდინარე, ქართული მხარის ინიციატივით, გამშვები პუნქტი 24-საათიანი სამუშაო გრაფიკიდან დღის მუშაობაზე გადავიდა. შესაბამისად, ლარსის გამშვები პუნქტი დილის 6-დან საღამოს 6 საათამდე იმუშავებდა. განრიგის შეცვლის შედეგად საზღვარზე მოსალოდნელი საცობის შესახებ მძღოლებსა და მგზავრებსაც აცნობეს და სთხოვეს, ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოკიდებოდნენ", - ნათქვამია პასუხში.

თუმცა, უკვე 8 ივნისიდან სასაზღვრო პუნქტზე ტრაილერების უზარმაზარ ნაკადს ბოლო არ უჩანდა, ხოლო ხანგრძლივი ლოდინით უკმაყოფილო მძღოლებს საბაჟოს თანამშრობლები მშვიდად უხსნიდნენ, რომ სამუშაო განრიგის შეცვლა ქართული მხარის მოთხოვნით, მოქალაქეების უსაფრთხოების მიზნით მოხდა.

რუსეთის საბაჟო-გამშვები პუნქტის ინფორმაციით, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, 30 ივნისს ქართულმა მხარემ მათ თხოვნით მიმართა, რომ ლარსის გამშვებ პუნქტზე სამუშაო დრო 4 საათით გახანგრძლივებულიყო.

"1 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით გამშვებ პუნქტზე გადაადგილება დილის 5-დან საღამოს 8 საათამდე (მოსკოვის დროით) იქნება შესაძლებელი, ხოლო რუსეთის მიმართულებით 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს, "ზემო ლარსის" მიმართულებით სატრანსპორტო გადაადგილება კი საღამოს 7 საათიდან შეიზღუდება", - ნათქვამია რუსეთის საბაჟო-გამშვები პუნქტის განცხადებაში.

გზა მშვიდობისა, პატარებო!

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დადებითი რაც გააკეთა ახალმა ხელისუფლებამ, სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულებების პრიორიტეტად გამოცხადება იყო. ბევრი რამ გაკეთდა საბავშვო ბაგა-ბაღებში:– გარემონტდა, ახალი დგამ-ავეჯით აღიჭურვა, შემოვიდა გასართობი თუ შემეცნებითი ხასიათის თემატური სათამაშოების ფართო სპექტრი, კეთილმოეწყო სველი წერტილები და სამზარეულოები. და, რაც მთავარია, საბავშვო ბაღის გადასახადებიდან განთავისუფლდნენ მშობლები. ამას პედაგოგთა გარჯილობაც დაემატა: მრავალი აპლიკაციით, ნახატით თუ ნაძერწითაა დამშვენებული შენობის კედლები, დერეფნები, სადარბაზოები. ერთი სიტყვით, სასიამოვნო გარემოა. ამასთან, ძირფესვიანად შეიცვალა ბავშვთა კვების მენიუ. ის უფრო კალორიული და მრავალფეროვანი გახდა.

ახლა საბავშვო ბაღში სიარული, ბავშვისთვისაც და მშობლისთვისაც, ხელსაყრელია.

ქ. დედოფლისწყაროს N3 საბავშვო ბაგა-ბაღიც ყველანაირად მზად არის და იღწვის კიდევაც, მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას. მოგეხსენებათ, ბაღი ეს მოზარდის ცხოვრების პირველი საფეხურია და როგორ წარიმართება ბავშვის მომავალი, აქ მომუშავე პერსონალზე ბევრადაა დამოკიდებული. სწორედ საბავშვო ბაღში ხდება სწავლის და ყოფაქცევის იმ ნორმების ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ საზოგადოებასთან, ახლობლებთან, მეგობრებთან და პედაგოგებთან ურთიერთობაში გამოვლინდება. აქ ეყრება საფუძველი ცოდნის სურვილის გაღვივებას, მიზანსწრაფულობას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ანუ ინდივიდუალური და კოლექტიური თანაცხოვრების პირველ ნაბიჯებს გაუცნობიერებლად აქ დგამენ მოზარდები. აქ სწავლობენ უფლის და სამშობლოს სიყვარულს, მეგობრობის ფასს, სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე. ამიტომაც, აღმზრდელს, პედაგოგს დიდი როლი და პასუხისმგებლობა აკისრია. მასზე, მის ტაქტსა და აღზრდის მეთოდებზე ბევრადაა დამოკიდებული თითოეული ბავშვის მომავალი, ის, თუ როგორ თაობებს მიიღებს ქვეყანა, ვის გადაეცემა ესტაფეტა.

ჩვენ ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის უფროსი ასაკის ბავშვთა გამოსაშვებ საღამოზე ვიმყოფებით. დღეს აქ 13 ბავშვი დაემშვიდობება საბავშვო ბაღს და სკოლაში გადაინაცვლებს. თამარ უძილაური, თამარ მამაიაშვილი, თაკო მაისურაძე, ირაკლი მაზანაშვილი, მარიამ ქადაგიშვილი, გიორგი ჭიღიტაშვილი. არჩილ წიკლაური, ნიკოლოზ ხუდადოვი, ნიკოლოზ წყარუაშვილი, თაკო ხარაშვილი, დავით არაბული, ონისე ნაროზაული და დავით გურამიშვილი სექტემბრიდან სკოლის მერხებს მიუსხდებიან. ჯგუფში სულ 26 ბავშვია, ამიტომ, ცამეტი ისევ ბაღში გააგრძელებს მეცადინეობას, რადგან მათ ჯერ 6 წელი არ შესრულებიათ. ზეიმზე კი ყველა ერთნაირად გამოეწყო და მთელი ძალით ეცადა, ესახელებინათ პედაგოგები, თავი წარმოეჩინათ ლექსსა თუ სიმღერაში, ცეკვასა თუ ინსცენირებაში, რომელიც მრავლად მოუმზადებიათ სტუმრებთან წარსადგენად.

ზეიმის დასაწყისში ნიკოლოზ წყარუაშვილი შემოდის დარბაზში და სთხოვს დამსწრე საზოდაგობას, წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ თბილისში, ვერეს ხეობაში წყალდიდობის დროს გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას. იხდიანრა თავის მოქალაქეობრივ ვალს, პატარები მხატვრულ განყოფილებაზე გადადიან. გვიყვებიან თავის განცდებზე: კარგად მახსოვს, პირველად რომ მოვედი ბაღში, როგორ ვტიროდი, მეგონა, დედა რომ წავიდოდა, სულ მარტო დავრჩებოდი, მაგრამ მასწავლებლის სითბომ და ალერსმა ისე შემაყვარა ჩემი ბაღი, რომ ძალიან მიჭირს მისი დატოვება. ჩვენ ამ კედლებში ბევრი რამ შევისწავლეთ - ცეკვა, სიმღერა, ხატვა, ქართული ენა, მათემატიკა, ინგლისური..

ეს ხუთი წელი გაფრინდა, როგორც მერცხალი.
ვერც კი გავიგეთ, 6 წელი როგორ გვეწვია,
ჩვენ ბაღს ვშორდებით, გვილოცავენ გზას აღმზრდელები,
გზა მშვიდობისა, დაგვჯიჯიკებს ჩიტი მზეწვია.
მვირფას აღმზრდელებს მადლობის მეტს აბა რას ვეტყვით,
თქვენც და ჩვენს ბაღსაც სინანულით გეშვიდობებით,
პირობას გაძლევთ, არ შეგარცხვენთ და ჩვენ ყველაფერს
სად უნდა ვიყოთ, სამუდამოდ გვემახსოვრებით!

სდებენ პირობას სკოლის ასაკის ბავშვები. ზეიმს კი ყველა ერთად განაგრძობს. ქართული სიტყვის სადიდებელს ამბობს ლუკა სეფიაშვილი - ხან ყვავილების ნელი შრიალი, ხან იადონის ხმატკბილი სტვენა, სიტყვა ფრთიანი, ნაპერწკლიანი, ბარაქიანი ქართული ენა“, მას მარიამ გიგოლაშვილი ეხმიანება: „ვინ იცის, მტერი ჰყავდა რამდენი, და მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე, არ აღმოიფხვრა, არ გაცამტვერდა“, დასკვნას კი მარიამ ზუბიაშვილი აკეთებს: „ჩვენ უნდა შევძლოთ და კიდეც შევძლებთ კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა. ქართული ენის ქომაგობას გვპირდება გიორგი ზურაშვილი:

ავდგებოდით, ვიომებდით,
და შევძლებდით შეუძლებელს,
და ანბანი ჭრილობებად
გვაჩნდებოდა სხეულებზე.
ხან დაშლილა საქართველო,
კახურ-სამცხურ-მეგრულად,
მაგრამ ისევ საქართველო
ქართულ ენით შემკულა”

დედა ენას ასხამს ხოტბას ელისაბედ გოგოჭური - „დედა ენა, სიბრძნის წიგნი, მოჩუხჩუხე ცხრა წყარო, აი ია, აი თითი, აი მთელი სამყარო“.

დედა ენას ეფერება საბა ბოჭორიშვილიც: „დედა ენა, სიტყვის კონა, მზის სხივებით დართული, დაშაქრული, დათაფლული, დედა ენა ქართული“. დედა ენას აქებს საბა დოლენჯაშვილიც.

ბავშვებმა თავი გამოიჩინეს და ინგლისური ლექსებიც მოასმენინეს დამსწრეთ. ისინი პედაგოგ ნესტან ბალაძის ხელმძღვანელობით ინგლისურ ენას ბაღიდანვე ეუფლებიან. ლექსები, სიმღერები, ინსცენირებები ერთმანეთს ენაცვლება და პატარა „მსახიობები“ თავს არ ზოგავენ ასიამოვნონ დამსწრეთ. სტუმრები კი აპლოდისმენტებს არ იშურებენ მათ გასამხნევებლად. ზეიმი დასასრულს მიუახლოვდა. პედაგოგი ქეთინო ჯალიაშვილი და მისი თანაშემწე მარიტა ბექიშვილი, მუსიკის მასწავლებლები ხათუნა ჯანაშვილი და ბაგა-ბაღის დირექტორი მაია ფოცხვერაშვილი ბავშვებს ემშვიდობებიან. ისინი მღელვარებას ვერ ფარავენ. წლობით თანაცხოვრების, ამაგის და ზრუნვის შემდეგ განშორება ადვილი არ არის.

დღეს დიდი მსჯელობა იმართება ბავშვის სკოლაში მისვლის ასაკთან დაკავშირებით. მშობლები, რომელთა შვილებმაც ხუთ წელს გადააბიჯეს, მაგრამ ჯერ ექვსი წელი არ შესრულებიათ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათი შვილების სკოლის გარეთ დარჩენის გამო. ამასთან დაკავშირებით ჩვენ პედაგოგ ქეთინო ჯალიაშვილს ვკითხეთ აზრი: – მართალია, საბავშვო ბაღში მუშაობის დიდი ხნის სტაჟი არ მაქვს, სულ სამი წელია, რაც ვმუშაობ, მაგრამ მოხდა ისე, რომ 5-6 წლიანი ბავშვები ჯერ N2 ბაღში გავუშვი, ახლა კიდევ -აქ. ამდენად , მათთან შეხება მაქვს და მიმაჩნია, რომ სხვაობა ხუთწლიან და ექვსწლიან ბავშვებს შორის ნამდვილად არსებობს. ის რამდენიმე თვეც კი მნიშვნელოვანია ბავშვის სრულყოფილებამდე. ამიტომ, მე ვურჩევ მშობლებს, ნუ იჩქარებენ ბავშვის სკოლაში გაგზავნას- განაცხადა ქეთინო მასწავლებელმა.

წარმატებები, მშვიდობა და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ჩვენს პატარებს.

ნაირა გორაშვილი

საქველმოქმედო საღამო ოპერის თეატრში

13-14 ივნისს თბილისში სტიქიური უბედურების შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა, რომლის ამსახველ კადრებს საქართველოს ტელევიზიასთან ერთად მსოფლიოს წამყვანი სატელევიზიო არხებიც აშუქებდა.

სწორედ მათ ხსოვნას მიეძღვნა 20 ივნისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა- „დაისი“. სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა ცნობილი მაესტრო, „მეტრის“ ნომინანტი რევაზ ტაკიძე. მთავარი პარტიების შემსრულებლებმა, ოპერის სოლისტებმა არმაზ დარაშვილმა (მალხაზი) ნინო ჩაჩუამ (მარო) მამუკა ლომიძემ (კიაზო) ფურორი მოახდინეს სცენაზე. მალხაზის არია არმაზ დარაშვილის შესრულებით ბრწყინვალე იყო. მან უნაკლოდ შეასრულა პირველ აქტში არია „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია, ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია“... მაყურებელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით და ბრავოს შეძახილებით ავჯილდოვებდა ოპერის მომღერლებს, გუნდს, დირიჟორს, სიმფონიურ ორკესტრს, რომლის ჟღერადობა ნებისმიერი ქვეყნის საოპერო სცენას დაამშვენებდა.

ამავე საღამოზე გაიხსენეს მურთაზ პოპიაშვილიც, რომელიც 31 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა. ელვის სისწრაფით მოედო მთელ რაიონს 1984 წლის 14 ივნისს წითელწყაროში, ყოფილ ლიმონათის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიასთან, ხევსურების უბანში ტრესტ „ალაზამშენის“ №4 სამშენებლო სამმართველოს კუთვნილი „ურალის“ მარკის ავტობუსის ავარიის ამბავი. სასიკვდილოდ დაშავდა ამავე სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი მურთაზ პოპიაშვილი, რომელიც საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში გადაიყვანეს. მისმა ერთადერთმა ძმამ ბატონმა ტარიელმა თბილისიდან ვეტმფრენით სპეციალურად ჩამოიყვანა ნეიროქირურგი, მიუხედავად ექიმების დიდი მცდელობისა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და 20 ივნისს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

როგორც თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა განაცხადა, 163-ე სეზონი „დაისით“ დაიხურა. იგი გახლდათ საქველმოქმედო სპექტაკლი და შემოსული თანხა მთლიანად სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს გადაერიცხა.

ახალი სეზონი ოპერისა და ბალეტის თეატრის რესტავრირებულ შენობაში გაიხსნება შემოდგომაზე.

ნანა ჭიჭინაძე

მადლიერება

ოცი წელია, ტკივილებით ვიტანჯებოდი. ყველანაირი მადიკამენტური მკურნალობა ამაო იყო. გაზეთის საშუალებით ერთი მადლიერი პიროვნების წერილით შევიტყე ლაზეროთერაპიის შესახებ. ჯერ კი ორჭოფულად დაუწყე ყურება-„ამდენმა ნემსმა და აბმა არ მიშველა, ამან რა უნდა მიშველოსო“, მაგრამ ძლიერმა ტკივილმა მიმაღებინა გადაწყვეტილება, რომ ესეც მეცადა და მოხდა საოცრება. ოცი წლის ტკივილი უკან დარჩა და ეს ყველაფერი ექიმი მარინა ქორიძის და მისი ექთნის ირმა ჩალახუშაშვილის დმსახურებაა. მინდა მეც გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გადავუხადო მათ.

ვისაც აწუხებს: – ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, არა საოპერაციო მალთა შორის თიაქარი, იშიაზი, სახსრების ანთება, ართრიტები, დიაბეტური ანგიოპათია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები მიაკითხეთ დედოფლისწყაროში, ფიროსმანის ქუჩა №18-ში სამედიცინო ცენტრ „ექიმები თქვენს სამსახურში“ - მარინე ქორიძეს. დარწმუნებული ვარ თქვენც ჩემსავით კმაყოფილი დარჩებით.

პატივისცემით ციცინო ჯანაშვილი,
სოფელი ზემო მაჩხაანი

ბრინჯაოს მედალი ბულგარეთში

ივნისში, ბულგარეთის ქალაქ სოფიაში ჩატარდა რიგით 25-ე ევროპის ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც ორმოცამდე ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირზე წარმატებით იასპარეზა დედოფლისწყაროს (სოფ. არხილოსკალოს) მკვიდრმა ზაზა კობაიძემ, რომელმაც 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. საქართველოს ნაკრების მონაგარი ჭაბუკთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში 33 მედალია: აქედან 8 ოქრო,16 ბრინჯაო და 9 ვერცხლი. ასევე, საქართველომ გუნდური მეორე ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატზე როგორც ახალგაზრდებში, ასევე უფროსებში.

როგორც მკლავჭიდის ფედერაციის მწვრთნელი, დედოფლისწყაროს მკვიდრი გელა ბექაური აცხადებს, მესამე ადგილი ცუდი შედეგი არ არის, ამდენად ის კმაყოფილია.

„საქართველოს მკლავჭიდის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდური მეორე ადგილი აიღო, ხოლო პირველი ადგილი რუსეთმა დაიკავა. ჩვენ 40 სპორტსმენით ვიყავით წარმოდგენილი, რუსეთიდან კი 200-მდე. მათ გაცილებით დიდი დაფინანსება და ხელშეწყობა აქვთ, თურქეთიც ასეა. მუდმივად 150-200 სპორტსმენით გამოდიან. გაცილებით ცოტა ქართველი რომ ახერხებს ჩემპიონატზე გამოსვლას, ეს ძირითადად მგზავრობისა და მოსამზადებელი ხარჯების არარსებობის მიზეზითაა გამოწვეული.

საბოლოო ჯამში, შესანიშნავი ტურნირი იყო, საქართველოს ნაკრებმა მართლაც ღირსეულად იასპარეზა. წლების მანძილზე არავის ახსოვს ასეთი ღირსეული გამარჯვება. ერთ პერიოდში, აღზევების გზაზე იყო ქართული მკლავჭიდი, შემდეგ იყო ჩავარდნა. ამჯერად მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ საქართველოს ნაკრები ძველ დიდებას იბრუნებს. ბრწყინვალედ იასპარეზა ზაზამ. ის ახალგაზრდაა, არ აქვს საკმარისი გამოცდილება, რომ ისეთ დიდ კორიფეებს შეეჭიდოს, როგორებიც ჩემპიონატზე იყვნენ – ევროპის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები, მაგრამ ზაზამ თავისი სათქმელი თქვა და წარმატებას მიაღწია. მსაჯებიც ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ თავის სიტყვას ამბობენ. გერმანელი ძალიან ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ ზაზა ტექნიკის და სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა, რომ დაემარცხებინა.

ჩვენ დედოფლისწყაროშიც გვაქვს დარბაზი, მაგრამ ეს ჩემპიონატი ისეთია, თუ ნაკრების დონეზე არ ივარჯიშა სპორტსმენმა, ასე გამოსვლა რთულია. ამიტომაც, ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა და მომზადება. მადლობა მინდა ვუთხრა, კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს, დედოფლისწყაროს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ისინი მუდმივად გვეერდში გვიდგანან და სწორედ მათი დამსახურებით მოვახერხეთ ბულგარეთში გამგზავრება. როცა სპორტსმენებს უჭირთ, ყოველთვის მათ ვაწუხებთ ხოლმე. ზაზა კობაიძე ნაკრებიდან დაფინანსდა, ხოლო ლადო ხუციშვილი მუნიციპალიტეტმა დააფინანსა.

ზოგადად, საქართველოში პოტენციალი დიდია, მაგრამ სპორტსმენებს შესაბამისი მომზადება და ხელშეწყობა აკლიათ. ეს სპორტი საქართელოში ვახტანგ მუსელიანმა შემოიტანა. ის ფანატიურად შეყვარებულია ამ სპორტზე. 1988 წლიდან გამოჩნდა დიდ არენაზე და მოიძია პერსპექტიული ბიჭები. მან იმდენი გააკეთა, რომ ამერიკაში საქართველოს დროშით გამოვიდა, შემდეგ წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრები მუდმივად წარმატებებს აღწევდა.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად პრესტიჟულია სოფლებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტის სხვადასხვა სახეობები, მინდა გითხრათ, რომ ბავშვები ძირითადად უფროს ადამიანებს უყურებენ და რა თქმა უნდა, მათი წარმატებები მოზარდებისთვის სტიმულია. ჩვენ წლების მანძილზე უამრავი ახალგაზრდა მოვწყვიტეთ ქუჩას, მავნე ჩვევებს და სპორტში ჩავაბით, კეთილ საქმეში ჩავრთეთ. ზაზა კობაიძე ამის ერთერთი მაგალითია. კარგი მომავალი თაობა მოდის, მაგრამ ქედების ზონაში დემოგრაფიული პრობლემა სერიოზულად დგას, აღარ არიან ახალგაზრდები, უმრავლესობა დედაქალაქში წამოვიდა, ყველას ქალაქში მიუწევს გული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სოფლებში ხალხი სპორტს მისდევს, მკლავჭიდი აინტერესებთ, ჭიდაობა აინტერესებთ და ჩვენც იმედიანად ვართ განწყობილნი.

სამ თვეში მალაიზიაში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ძალიან რთული იქნება. ზაზა ემზადება, რომ ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობები. ვნახოთ, თუ რომელიმე სხვა დედოფლისწყაროელი მკლავჭიდელი ნაკრებში კონკურენციას გაუძლებს და საკმარისად მომზადებული იქნება, შესაძლოა, ისიც გაემგზავროს ამ ჩემპიონატზე“ – ამბობს გელა ბექაური.

ზაზა კობაიძე: „შეჯიბრისთვის დიდი ხანი ვემზადებოდით. ეს იმ დონის ჩემპიონატია, რომ იქ წასასვლელად სპორტსმენი სათანადოდ უნდა იყოს მზად. ეს გამარჯვება პირველ რიგში გელა ბექაურის დამსახურებაა. მწვრთნელებმა მაქსიმალური გააკეთეს, რომ ჩვენთვის ესწავლებინათ და შედეგი გვქონდა. მაქსიმუმი ჩავდეთ სპორტსმენებმაც და კმაყოფილები და გახარებულები დავბრუნდით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ამ სიხარულისთვის. ჩვენი მეტოქეები, ყველა სპორტსმენი მაღალი დონის იყო. სულ ოთხი შეხვედრა ჩავატარე მარცხენა ხელით. პირველად პოლონელ სპორტსმენს შევხვდი, წარმატებით ჩავატარე ბრძოლა. მეორე და მესამე შეხვედრა აზერბაიჯანელ მკლავჭიდელებთან მქონდა, იქაც მაქსიმუმი გავაკეთე და მოვიგე. ნახევარფინალში გერმანელ სპორტსმენს დავუპირისპირდი. მეორედ ვიყავი საზღვარგარეთ გასული და ეს შედეგიც რომ დავდე, კმაყოფილი ვარ. არ არის ადვილი ევროპის ჩემპიონატზე გამოუცდელმა სპორტსმენმა დიდი შედეგი აჩვენო. ხუთი წელია, ვვარჯიშობ. გელა ბექაურის მონადინებით დავიწყე მზადება. 4 წელია, კახეთის ჩეპიონი ვარ და საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილები მაქვს მოპოვებული. საზღვრებს გარეთ ეს პირველი წარმატება იყო. ზემო ქედში არის დარბაზი და უმეტესად იქ ვვარჯიშობთ. ამას გარდა, სახლშიც მაქვს გარემო მოწყობილი და აქტიურად ვემზადები. თავდაპირველად ჭიდაობაზე დავდიოდი, მაგრამ მერე რატომღაც ისე მოხდა, რომ მკლავჭიდზე გადავერთე. ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადები, რომელიც სამ თვეში ჩატარდება. ვეცდები, ეს შედეგები გავაუმჯობესო და ჩემი ქვეყანა და მშობლები გავახარო“.

ლადო ხუციშვილი: „მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს ხელმძღვანელობას, მათი დახმარებით შევძელი ბულგარეთში წასვლა. გასულ წელს ევროპის მსოფლიო ჩემპიონატზე 100%-ით დაგვაფინანსეს, წელს მხოლოდ მე დამჭირდა გამგზავრების სრულად დაფინანსება და მუნიციპალიტეტი ყოველთვის გვერდში გვიდგას. ჩემს გამოსვლას რაც შეეხება, არ ვარ კმაყოფილი ჩემი გამოსვლით. გასულ წელს ბაქოში ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი და ბრინჯაო მოვიპოვე. ამჯერად კი წონა შევიცვალე და 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავედი. თავისთავად ასაკიც მოქმედებს, ასევე ტრავმები გვიშლის ხოლმე ხელს და ვნახოთ სამომავლოდ რა იქნება. ერთი სპორტსმენის შეჯიბრზე გასამგზავრებლად მომზადება დაახლოებით 3000 ლარამდე ჯდება, სპორტული კვებით და ა.შ“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

გიორგი მაჩაბლიშვილს!

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მომძეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს
თუ კი გსურს გახდე ადამიანად.

ჩვენო უსაყვარლესო ვაჟკაცო, გიორგი! მიიღე ჩვენგან გულწრფელი, ნამდვილი სიყვარულით გამსჭვალული გულებიდან ამონათქვამი ყველა სურვილი მაჩაბლიშვილების და ხაჭაპურიძეების ოჯახებიდან. გილოცავთ სკოლის დამთავრებას, ამ დღიდან გახვედი დამოუკიდებელი ცხოვრების ფართო გზაზე, რომელიც უფლებას გაძლევს, გააგრძელო სწავლა შენთვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში. წინ ცხოვრების დიდი გზა გაქვს გასავლელი.ამიერიდან დამოუკიდებლად უნდა იბრძოლო ბედნიერი მომავლისთვის. შენი ცხოვრების გზა მეტად რთულია, ათასნაირად დახლართული. ეს შენს გონიერებაზეა დამოკიდებული, რომელ გზას აირჩევ – სიმართლის თუ სიყალბის. გახსოვდეს, შეიძლება ცხოვრებაში მარცხი განიცადო, სულით არ დაეცე, მოაკითხე შენს სისხლ-ხორცით დაკავშირებულ ადამიანებს, რომლებიც ყოველთვის დიდი სიყვარულით და სიამაყით საუბრობენ შენზე. ეს პიროვნებები არიან შენი ყველაზე უახლოესი ნათესავები. გვინდა მიაღწიო უმაღლეს მწვერვალს, მაგრამ არ გაყოყოჩდე, იყავი სულით და გულით მდიდარი, სიმართლის მაძიებელი ადამიანი. ღამაზად მოგენყოს შენი ცხოვრება, როგორიც შენს მამიკოს გაახარებს იმქვეყნიურ სამყაროში. გისურვებ, რომ მამიკოსავით კეთილი, სათნო, ადამიანების მოსიყვარულე და გულმართალი კაცი გამოხვიდე. მალე სტუდენტობა მოგველოცოს მამიკოს მაგიერ. გეფერებით შორიდან, გკოცნით, ვლოცულობთ შენზე. ღმერთი იყოს შენი მფარველი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე.

შენთვის უცნობი ახლობლებისგან
მაჩაბლიშვილების-ხაჭაპურიძეების ოჯახები.

ასმათი ყოჩიაშვილს!

ჩვენო მეგობარო, ჩვენო კოლეგა, გილოცავთ დაბადების დღეს. სულ ასეთი მხნე და ენერგიულო ყოფილიყავი. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, უფლის წყალობას.

ზემო მაჩხაანის ამგულატორიის თანამშრომლები.

მარინა მახარაშვილს!
შიო ტეტელოშვილს!

გილოცავთ შვილიშილის - პატარა ნინის დაბადებას. ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ბედნიერ მომავალს.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ყურადღება!

ვაკეთებ სადღესასწაულო და საქორწინო მაკიაჟს მაღალ პროფესიულ დონეზე. მსურველები დაგვიკავშირდით:

558 511951

იყიდება!

იყიდება ბინა ქალაქ დედოფლისწყაროში ერეკლე მეორის ქN14- ბელეტაჟი, დიდი ეზოთი, დიდი ბოსტანით, ბოსტანში ჭა, თალარი.

599 90 98 25.

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით. მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:
577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

იყიდება სახლი ქალაქ დედოფლისწყაროში თბილისის ქუჩაზე. ორ სართულიანი აგურის სახლი დიდი ეზოთი და ხეხილიანი ბაღით. ეზოში ჭა, თონე და მარანი ქვევრებით.ფასი შეთანხმებით.

598 411 733.

იყიდება კერძო ბინა რუსთაველის ქუჩაზე, ქვითკირის, ოთხ ოთახიანი , ნახევრად სარდაფით, სამზარეულოთი, კეთილმოწყობილი ეზოთი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ
577 38 04 74.

ქირავდება!

ქირავდება ოროთახიანი ბინა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან ახლოს. გარემონტებული, კეთილმოწყობილი ავეჯით. არის სარეცხი მანქანა, მაცივარი, ინტერნეტი, ტელევიზორი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დამიკავშირდით.

555 54 33 31.

ვეძებ!

დაიკარგა აღმოსავლეთ-ევროპული ნაგაზი, (ჰგავს გერმანულ „ავჩარკას“) არის დიდი, შავი ტანის მონაცრისფრო თავით და ფეხებით. უკეთია მოწითალო საყელური ჟეტონით.

558 51 20 37,
მპოვნელი დასაჩუქრდება.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.07	სამშაბათი 07.07	ოთხშაბათი 08.07	ხუთშაბათი 09.07	პარასკევი 10.07	შაბათი 11.07	კვირა 12.07
დღე	26 °	26 °	25 °	26 °	27 °	26 °	21 °
ღამე	24 °	24 °	25 °	24 °	22 °	20 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K